



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25 (9.590)

6-13 ივლისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ელექტროგადამცემი ბოძები იცვლება ოცდაოთხ საათიანი დენი მოვა, მაგრამ როდის?!



ტრიგუციის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მენეჯერი ივანე გიგოლაშვილი:

„დედოფლისწყაროს ენერგოსექტორში კვლავ უამრავი პრობლემაა. მართლაც, უამინდობის დროს ხშირია დენის გათიშვები, რათა მოსალოდნელი ავარიები თავიდან ავიცილოთ. თუმცა, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ გეგმიური გამორთვებიც გვაქვს და, ამის გარდა, სარემონტო სამუშაოებს ვატარებთ, ზამთრის პერიოდში მოსახლეობას ნაკლები პრობლემა რომ შეექმნას.“

როგორც ვანო გიგოლაშვილი ამბობს, მათ სამსახურში კვლავ აქტუალურია თანხის ამოღების ე. წ. ურჩი და გვიანი გადახდები. „თუმცა ეს ისეთ დონეზე აღარ არის, როგორც წინა წლებში იყო, მაგრამ ზოგი ობიექტური, ზოგი კი სუბიექტური ფაქტორითაა განპირობებული. ამისთვის ამოქმედდა საჯარიმო სანქციების ახალი ფორმა, რომელიც საშეღავათო პირობებსაც ითვალისწინებს, კერძოდ, იმ პირებს, ვისაც დიდი ოდენობით დავალიანება ერიცხება და ერთბაშად არ შეუძლია გადახდა, მათთვის ვალეების რესტრუქტურირება - პორციებით, ანუ ნაწილ-ნაწილ ვალის დაფარვის ფორმა ამოქმედდება.“ მისი აზრით, ეს ფორმა მისაღები უნდა იყოს აბონენტებისთვის და იმედოვნებს, რომ სიახლე დაგროვილი თანხების ამოღების მტიკონეულ საკითხს მოაგვარებს.

ენერგოდისტრიბუციის თანამშრომლები ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, რომ იმ სოფლებში, სადაც გამრიცხველიანება დასრულებულია, თანხის ამოღების პრობლემაც თითქმის მოხსნილია. მათი აზრით, ელექტროენერჯის ახალი მრიცხველების დამონტაჟება მთლიანად მოაგვარებს გადასახადების ამოღების საკითხს. „ავისტოდან დაიწყება გამრიცხველიანება და ქსელების შეცვლა- დენის ღია „კაბელებს“ დახურული ჩანაცვლებს. ამ სამუშაოებს ტექნიკური სამსახური განახორციელებს. მოსახლეობას მინდა ვუთხრა, რომ მრიცხველის შეცვლა უფა-

სოა და მის ხარჯებს კომპანია ფარავს“-განაცხადა ვანო გიგოლაშვილმა გაზეთ „შირაქთან“ და დასძინა, რომ მათი თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოსახლეობას ელექტროენერჯის მიწოდება 24 საათის მანძილზე ჰქონდეს, მაგრამ არის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ მათზე არაა დამოკიდებული. ის მოსახლეობას სთხოვს, გაგებით მოეკიდოს ელექტროენერჯის სფეროში არსებულ შეფერხებებს და ხელი შეუწყოს მათ ორგანიზაციას, ყველა პრობლემა ხალხთან ერთად და ხალხისთვის მოაგვაროს. ბოლოს კი ვანო გიგოლაშვილმა იმ სიახლის შესახებ გააკეთა განცხადება, რომელიც დედოფლისწყაროში უახლოეს მომავალში განხორციელდება: „დედოფლისწყაროში იწყება ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია, კერძოდ, ქალაქ დედოფლისწყაროში შეიცვლება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ბოძები. ასევე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ექვს სოფელში - გამარჯვებაში, ზემო მარხაანში, მირზაანში, ოზაანსა და არბოშიკში ახალი ელექტროგადამცემი ბოძები წლის ბოლომდე დამონტაჟდება. ძველი ბოძების ამოღება უკვე დაიწყო. ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად, ბოძების შედგენის შემადგენელი ნაწილები და მწყობრიდან ხშირად გამოდიოდა, რის გამოც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები უშუქოდ რჩებოდა, ახლა კი ეს პრობლემა მოგვარდება“- აცხადებს ივანე გიგოლაშვილი.

რამდენად მოაგვარებს ახალი ელექტროგადამცემი ბოძები დენის მიწოდების საკითხს, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, ელექტროგადამცემი ბოძებიც და სადენებიც რომ ამორტიზირებულია და „აბლაბუდას ქსელებიც“ ჯერ ისევე არსებობს და მოსახლეობისთვის სამშობრებას ქმნის, ფაქტია. იმედი გვაქვს, ეს პრობლემებიც ცოტა ხანში წარსულის კუთვნილება გახდება და მოსახლეობის მოლოდინი 24-საათიანი დენის გრავიკუვე კვლავ დაპირებად არ დარჩება.

ინგა შიოლაშვილი



დედოფლისწყაროში სიბნელისა და ე. წ. საუბრო ბინარატორების ეპოქა რამდენიმე წელია, წარსულის კუთვნილება გახდა, თუმცა, ელექტროენერჯის მოსახლეობას შეფერხებას გარეშე ნაფიქრად არ მიიწოდება. ენერგოტიკის სფეროში ამ კვლავ სერიოზული პრობლემაა, რის გამოც მომხმარებელი ხშირად რჩება დენის გარეშე და დაპირება ელექტროენერჯის 24-საათიანი გრაფიკით მიწოდების თაობაზე უტოვიად რჩება. როგორც დედოფლისწყაროში ნახევრად სუბრობით ავგოვან, მათ სიოს წამოქრულვაც კი აწინებთ, რაღვან წინასწარ იცინან, რომ ელექტროენერჯის გარეშე დარჩებიან. მრავალი წელია, დედოფლისწყაროს მოსახლეობა ამ ფაქტს აპროტესტებს და ელექტროგადამცემი ხაზების შეცვლას ითხოვს, თუმცა, უშედეგოდ. მიუხედავად დაპირებებისა, ვარდოვანმა ხელისუფლებამ კახეთის ენერგოდისტრიბუციის არსებული სირთულეების აღმოფხვრა ვერ შეძლო. ახლა ეს კომპანია გააოტრების რაჟიში იმყოფება, მაგრამ ივანე გიგოლაშვილი ენერგოსექტორში არსებული პრობლემების მოგვარებას შეჰპლავს. მსგავს განცხადებას აკეთებს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მენეჯერი ივანე გიგოლაშვილი.

„დედოფლისწყაროში იწყება ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია, კერძოდ, ქალაქ დედოფლისწყაროში შეიცვლება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ბოძები. ასევე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ექვს სოფელში - გამარჯვებაში, ზემო მარხაანში, მირზაანში, ოზაანსა და არბოშიკში ახალი ელექტროგადამცემი ბოძები წლის ბოლომდე დამონტაჟდება. ძველი ბოძების ამოღება უკვე დაიწყო. ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად, ბოძების შემადგენელი ნაწილები და მწყობრიდან ხშირად გამოდიოდა, რის გამოც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები უშუქოდ რჩებოდა, ახლა კი ეს პრობლემა მოგვარდება“

**მრევლის პროტესტი -
ლოცვა ცარხელ ტაძარში**

გვ. 3-8

**სახალსო
დამცველი,
მინისტრი და
აუზ-ს საელჩოს
წარმომადგენლები
სამთაწყაროში**

გვ. 2

პირველად იყო სიტყვა!

გვ. 4

**ყველაზე სადო წყარო
დედოფლისწყაროში
მიფინარა მოვლანის
შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტანდარი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვეთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ
ნაიკითხავთ!
www.dedoplistskaro.ge

სახალხო დასვენელი, მინისტრი და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები სამთაწყაროში

პრემიერი ბიძინა ივანიშვილი დედოფლისწყაროელე-ბს აფრთხილებს — კეთილი ინებონ და კანონს დაემორჩილონ. „მთავრობა ყველა მიმართულებით დაიცავს უმცირესობებს,“ ასეთი განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ჟურნალისტებთან 3 ივლისს გამართულ საგანგებო შეხვედრაზე განაცხადა. ამ განცხადებით ის სამთაწყაროში მიმდინარე პროცესებს გამოეხმაურა. პრემიერის თქმით, ეს მოხდება კანონის გზით და არა ხელოვნური გზებით.

„გეგმა გვაქვს ასეთი — საქართველოში უნდა ბატონობდეს მხოლოდ სამართალი. ჩვენი კონსტიტუციით ყველა რელიგიურ უმცირესობას აქვს უფლება, აღასრულოს ლოცვა, როგორც მათ სურთ. პირველ რიგში, მივმართავ სამთაწყაროს მოსახლეობას, რომ კეთილი ინებონ და დაიცვან კანონიერება. ჩვენ ვცდილობთ მოლაპარაკების გზით დავარწმუნოთ ორივე მხარე, რომ მშვიდობიანად მისცენ საშუალება უმცირესობას აღასრულოს თავიანთი რელიგიური მრწამსი. თუ ეს არ მოხერხდება მოლაპარაკების გზით, კანონს გამოვიყენებთ მთელი სიმკაცრით. მივმართავ მათ განსაკუთრებით, კეთილი ინებონ, დაემორჩილონ კანონს და მისცენ საშუალება ლოცვის. მე ვფიქრობ, ის რაც დღეს ხდება საქართველოში, კონკრეტულად სამთაწყაროში, ეს არის 9 წლიანი მმართველობის გადმონაშთი. ის რომ ხერხდებოდა ხელოვნურად ამის მიჩქმალვა და მიჯრიყენა თავის დროზე, ამან თავი წამოყო დღეს. სადაც მოლაპარაკებით ვერ მოვახერხებთ, კანონი ჩაერევა. ტოლუ-



მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც.

„სოფელ სამთაწყაროში დაძაბულობას რეალური საფუძველი არ აქვს და მხოლოდ მოარული ხმებით არის ნაკვები. ხალხი ამ ხმებს უჯერებს და ეს უმცირესობის საკითხი დაძაბულობაში იზრდება. ვაკვირდებით ლოცვის მიმდინარეობას. დავინახეთ, რომ ადგილობრივ მუსლიმ მრევლს არ სურს ლოცვაში მონაწილეობა, რაც არ არის გამორიცხული, შიშით იყოს გამონეწეული და ლოცვას ჩასული მუსლიმები ატარებენ. პარასკევის ლოცვის ჩასატარებლად საკმარისია რამდენიმე მუსლიმი პირის შეკრება და საჭირო რაოდენობა იკრიბება კიდევ, თუმცა, მათ შორის არ არიან ადგილობრივი მუსლიმები. მე იმედი მაქვს, რომ ისინი მალე დაიჯერებენ, რომ საფრთხე არ ემუქრებათ, ლოცვაში მიიღებენ მონაწილეობას და დაძაბულობაც საბოლოოდ აღმოიფხვრება,“ - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

„ჩემი აქ ყოფნის მიზანია, რომ დემოკრატიული პროცესები მაქსიმალურად იყოს თავისუფალი. არავინ არავის ლოცვას არ უშლის, 33 წელი არავის ხელი არ შეუშლია, არც მომავალში შეეშლება. მოსახლეობის განწყობა ისაა, რომ არანაირი პრობლემა არ არსებობდეს“ - აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში გასულ პარასკევს, ადგილობრივი ხოჯას სულკო ხოზრევანიძის ოჯახს თავს დაესხნენ ამავე სოფლის მაცხოვრებლები, რომლებიც სამთაწყაროში მუსლიმური სამლოცველო სახლის ფუნქციონირების წინააღმდეგეები არიან. ხოჯას მეუღლის ემინე ხოზრევანიძის თქმით, ადგილობრივები მათ სახლის გადანვით დაემუქრნენ, თუ მუსლიმურ სამლოცველო სახლში ლოცვას არ შეწყვეტენ. ხოჯას სახლთან პოლიციელები პატრულირებდნენ. სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა შს მინისტრს ირაკლი ლარიბაშვილს დაცვის გაძლიერებისკენ და მოქალაქეთა უფლებების დაცვისკენ მოუწოდა.

ილია მარტყოფლიძე



რანტობა არ ესწავლება ქართველ ერს. მეჩეთის აშენება და რელიგიური მრწამსის აღსრულება არასდროს იყო პრობლემა“ — განაცხადა ივანიშვილმა.

5 ივლისსაც ექსცესების გარეშე დასრულდა მუსლიმთა ლოცვა სამთაწყაროში, თუმცა მას ადგილობრივი მუსლიმები კვლავაც არ დასწრებიან. რიტუალი მხოლოდ ჩამოსულმა მუსლიმებმა აღასრულეს. პროცესზე დასაკვირვებლად სამთაწყაროში ჩავიდა სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. ადგილზე იმყოფებოდა

ოკუპირებული ცხინვალის სოფლებში ახალი წესები ამოქმედდება

ოკუპირებული ცხინვალის სოფლებში გადაადგილების ახალი წესები უნდა ამოქმედდეს. კერძოდ, მარიონეტული რეჟიმი ახალგორში, პერეეში, სინაგურსა და მოსაბრუნში მანქანით შესვლის აკრძალვას და ხელბარგის წონის კილოგრამობით განსაზღვრას აპირებს.

პერეევის მოსახლეობა საოკუპაციო რეჟიმის ახალ გეგმას აპროტესტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს რეაგირებას სთხოვს.

ქართული სოფლები, შესაძლოა, 2 თვეში სრულ იზოლაციაში აღმოჩნდეს. მოსახლეობა ამბობს, რომ თუ გეგმა განხორციელდა, დასახლებები გარე სამყაროს მოსწყდება.



მოსახლეობას ალბანების პროცესში სიფრთხილისკენ მოუწოდებენ



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა მოსახლეობას, ზაფხულის ხანძარსამომ სეზონში თავიანთი და სხვა კულტურების მოსავლის აღების, გადამუშავებისა და შენახვის პერიოდში, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებზე კონტროლის გაძლიერების შესახებ აფრთხილებს.

მსგავსი შინაარსის წერილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტიდანაც მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ:

საქართველოს მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იქნას: 1: მარცვლეულისა და სხვა კულტურების მასივების შემოხვნა რკინიგზის ხაზების, სამანქანო გზებისა და ტყის ზოლებთან. დაცული უნდა იქნეს მანძილი თავთავიან კულტურების მასივებიდან ტრაქტორების, კომბაინებისა და ავტომანქანების გამწყობ მოედნამდე და სანვავსაპოხი მასალების საცავამდე. კატეგორიულად იკრძალება თავთავიანი და ტექნიკური კულტურების მასივების უშუალო სიახლოვეს ავტოტექნიკის სანვავით გამართვა. 2: არ შეიძლება, 25 ჰექტარზე მეტი ფართობის ასაღებ პურის მასივების სიახლოვეს ტრაქტორისა და გუთნის მობილიზება. 3: იკრძალება, მარცვლეულის აღების დაწყება პურის მასივების არაუმეტეს 50 ჰა ფართობის ნაკვეთებზე დანაწილება, ნაკვეთებს შორის არანაკლებ 8 მ-ის ლესურების მოწყობა. 4: უნდა მოხდეს მარცვლეულის კალოების განლაგება შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 50 მ, ხოლო პურის მასივებიდან 100 მ დაშორებით.

ასევე იკრძალება: 1: ნამკალის ნანვერალის ნარჩენების დანვა მინდორში. 2: არ შეიძლება ტრაქტორების, თვითმავალი ძარის და ავტომობილის მუშაობა კაპოტის გარეშე ან ლია კაპოტით. 3: იკრძალება, ძრავების რადიოაქტორებში მტვრის ამოსანვავად სარჩელი ლამპის გამოყენება. 4: არ შეიძლება, საველე პირობებში ავტომობილების გამართვა ღამის საათებში.

„ენერგოეფექტურობის ცენტრმა“ ქურნალისტები დააჯილდოვა

„ენერგოეფექტურობის ცენტრმა“ მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე ქურნალისტები დააჯილდოვა. დაჯილდოვების ცერემონია „თბილისი ცენტრალის“ ბოულინგ კლუბში გაიმართა.

პროექტი „შენობებში ენერჯის დაზოგვის ინიციატივა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ESIB) ფარგლებში პროგრამა „INOGATE“-ის მხარდაჭერით 2013 წლის 5 მარტიდან მიმდინარეობდა კონკურსი საქართველოში მოღვაწე ქურნალისტებისთვის თემაზე: „ენერგოეფექტური შენობები - მდგრადი ენერგეტიკის საფუძველი“

ცერემონიაზე, კონკურსში მონაწილეობისთვის ფულადი პრიზით და სამახსოვრო სუვენირებით დააჯილდოვა ჩვენი გაზეთის ქურნალისტი ილია მარტყოფლიძე, რომელსაც სერთიფიკატიც გადაეცა. ილია მარტყოფლიძე კონკურსში მის მიერ ამავე თემაზე მომზადებული სტატია წარადგინა. საკონკურსო ნამუშევარი სათაურით „სითბური ენერჯია ეკომიგრანტებით დასახლებულ რაიონულ ცენტრს მონყვეტილ საზღვრისპირა სოფელში“ ქიზიყი. ge-ს ვებგვერდზე მიმდინარე წლის 29 აპრილს გამოქვეყნდა, ხოლო მანამდე რამდენიმე ხნით ადრე, დაახლოებით ამავე შინაარსის მასალა გაზეთ „შირაქშიც“ დაიბეჭდა.

„სამწუხაროდ, მთავარი საკონკურსო ადგილები ვერ მივიღე, თუმცა ჩემთვის მაინც საინტერესო იყო ამ კონკურსში მონაწილეობა. გარდა იმისა, რომ კარგად გავვრეთოთ, ხელცარიელი არ დავბრუნებულვარ. საჩუქრად 50 დოლარი და ასევე სპეციალური მაისური გადმომეცა. ამას გარდა, ძალიან საინტერესო ეკონათურა გვისახსოვრეს, რომელიც მზის ენერჯიაზე მუშაობს,“ - აცხადებს ილია მარტყოფლიძე.

ჟიურის თავჯდომარეობდა ESIB პროექტის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი რობერტო ლო ჩიჩერო ვაინა, ხოლო ჟიურის წევრები იყვნენ გიორგი



აბულაშვილი - პროექტი ESIB-ის კოორდინატორი საქართველოში და ენერგოეფექტურობის ცენტრის ხელმძღვანელი; ასევე - საქართველოს დამსახურებული ქურნალისტი გაბრიელ ნამთალაშვილი და სხვა პარტნიორული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დაჯილდოვების ცერემონიის დასრულების შემდეგ ალაფურმეტი გაიმართა, რის შემდეგაც მონაწილეები გუნდებდა დაიყვნენ და ერთმანეთს ბოულინგში გაეჯიბრნენ.

კონკურსის მიზანი იყო მედია საშუალებების დაინტერესება შენობების ენერგოეფექტურობის და მათი ენერგორესურსებით მომარაგებაში არსებული პრობლემების აღმოჩენა და წინაპირობის შექმნა საიმისოდ, რომ მედია საშუალებებმა განახორციელონ აღნიშნული საკითხების შესახებ საზოგადოების მუდმივი ინფორმირება.

ენერგოეფექტურობის ცენტრი დაარსდა 1998 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ევროკავშირის დაფინანსებით.

მრევლის პრობემები - ლოცვა სარიელ ტაძარში

დედოფლისწარომი მრევლის აღშფოთების მიზეზი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდლო კრება გახდა, სადაც გაირკვა, რომ ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე განთავისუფლდა და მას სოფელ სამთაწყაროში გადასვლა დაევა.

ეპარქიის სამღვდლო კრებას, რომელიც 3 ივლისს ჩატარდა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი ეპისკოპოსი მელქისედეკი ხელმძღვანელობდა. კრებაზე განიხილეს ეპარქიაში არსებული მდგომარეობა, მეუფემ ასევე სამღვდლოებისაგან მრევლის პრობლემები მოისმინა, რის შემდეგაც კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ბრძანება N77 გააცნო.

„შირაქმა“ ბრძანების ასლი და კრების ამსახველი ფოტოსალა მოიპოვა.

ბრძანების თანახმად: „ან. 1 ივლისიდან ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დედოფლისწაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე გათავისუფლდეს აღნიშნული ტაძრიდან, გადაყვანილი იქნას სოფ. სამთაწყაროში წმიდანის სახელობის სამლოცველოში წინამძღვრად და დაევალოს ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა“.

ამ გადაწყვეტილების გავრცელების შემდეგ 4 ივლისს საპროტესტო აქცია გაიმართა ქალაქ დედოფლისწყაროში, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში. მრევლმა ტაძარი დატოვა და ლოცვაზე დასწრებაზე პროტესტის ნიშნად უარი თქვა. სამასამდე ადამიანი ნირვის დასრულებას ტაძრის ეზოში ელოდა და მეუფესთან შეხვედრას კატეგორიულად მოითხოვდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მართლმადიდებელი ქრისტიანების აღშფოთება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ტაძარს დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე ჩამოაშორეს და აქ ღვთისმსახურებას სხვა ქალაქიდან ჩამოყვანილი სასულიერო პირი აღავლენს. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძე ნირვას ცარიელ ტაძარში აღასრულებდა, ლოცვას არცერთი მრევლი არ დაესწრო.

მამა ნიკოლოზმა აქციაზე მოსვლამდე მრევლს ტაძარში დაბრუნებისა და ნირვაზე დასწრებისკენ მოუწოდა. თუმცა, მრევლი ტაძარში შესვლას მხოლოდ მაშინ აპირებს, თუ ღვთისმსახურებას კვლავაც დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე აღავლენს.

„ჩვენი სულიერი მოძღვარი ნავარდუაძე“, „მამა ნიკოლოზის გარეშე ტაძარი დაიცილება და



სამღვდლო კრება ეპარქიაში

მრევლს დაკარგავს“, „ნიკოლოზის გარდა აღსარებაზე არცერთ მოძღვართან არ მივალთ“, „აღარ მაქვს ტაძარში მოსვლის სურვილი“, „მთელი დედოფლისწყარო გაერთიანდება, ფეხზე დადგება და მამა ნიკოლოზის გვერდით დადგება“, „ეპარქიის შექმნის შემდეგ მამა ნიკოლოზს ჩაგრავენ და მისი ჩამოშორება სურთ,“ - ამგვარი ფრაზები ისმოდა აქციაზე.

საკათედრო ტაძრის ეზოში შეკრებილ მრევლთან სასაუბროდ მეუფე მელქისედეკი ლოცვის დასრულებისთანავე, საღამოს 19:00 საათისთვის გავიდა. მან მრევლს საქციელი დაუნუნა და მკაცრი ტონით უსაყვედურა. მოგვიანებით მეუფემ ეკლესიის ზოგიერთი მსახურის მიმართ სადამსჯელო ზომებიც გაატარა.

„ჩვენი ეპარქიის დიდი წმინდანის მიხედვით ყულოშვილის სხენების დღე გვაქვს, ტაძარში მსახურება ტარდება და გარეთ

დგახართ, რა არის ეს, ეს არის მრევლი? თუ რამე პრობლემაა, ერთად ვილოცოთ და შემდეგ გადავწყვიტოთ საქმე, მაგრამ თქვენ მორწმუნეობის ეტყობა აღარ აფერი გაქვთ!..“

შეურაცხყოფას გვაყენებთ მეუფე! ჩვენ აღარ გვაქვს?... (ხმაური)

ერთი უთით, ერთი ნუთით! ეს

გასწავლათ მამა ნიკოლოზმა, რომ ასე მოიქცეთ? ამდენი ამიტომ იწვალა მამა ნიკოლოზმა?... ვინმე გართმევთ მამა ნიკო-

ლოზს? ეს არის უწმინდესის დავალება, რომ მამა ნიკოლოზმა, როგორც დიდი გამოცდილების მქონე სასულიერო პირმა, ტაძრის მშენებლობას სამთაწყაროში უხელმძღვანელოს,“ - მიმართა მეუფემ მრევლს.


სამასზე მეტი ადამიანი რიგობით ერთობოდა საუბარში და გადაწყვეტილებების შეცვლას ყველა საკუთარი არუმენტების მოშველიებით ცდილობდა. ყველა მათგანი მამა ნიკო-

ვდგები და მოვისმენ. ვფიქრობ არ გაართულებს მეუფე თავის სასარგებლოდ. ალბათ, სიტყვის თქმისთვის დავისჯები. მეუფეს ვუთხარი, რომ სიყვარული დავკარგეთ და მამა ნიკოლოზის წასვლით მრევლი უფრო დაიქსაქსება-მეთქი. დავილაღეთ და ხმა ხომ უნდა ამოვიდოთ. 4 წელია, ტარში ასე ხდება. ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა ისეთი რაღაცეები, რაც არ უნდა მომხდარიყო,“ - აღნიშნავს წერეთელი.

მეუფე მელქისედეკისა და მრევლის დიალოგი საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მოგვიანებით ეკლესიის ეზოში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძეც გამოჩნდა. მელქისედეკმა ტაძრის ეზო ტელეკამერების გამოჩენისთანავე დატოვა, ტაძარში შებრძანდა და

„ძალიან გთხოვთ, დავმშვიდდეთ, დავწყნარდეთ, გულში არ ჩაიდოთ არავისი არაფერი. ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან გთხოვთ, ყველა ველავთ, მრევლიც ველავს და სიმშვიდისკენ მიხდა მოვუნდო. რა თქმა უნდა ღვთისმსახურებას ისევ აღვასრულებ, რადგან ჩემთვის არ შეუჩერებია. უბრალოდ, გადაყვანილი ვარ სოფელ სამთაწყაროში, რომ იქ პრობლემებს მივხედოს. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის ტაძარში შევასრულებ თუ არა ღვთისმსახურებას, ეს ალბათ მალე გადაწყდება,“ - აღნიშნა დეკანოზმა ნიკოლოზმა ეპარქიის რეზიდენციის დატოვებისას.

მამა ნიკოლოზის ტაძარში დაბრუნების მოთხოვნით მრევლმა პატრიარქს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა, აქციის



მეუფე მელქისედეკი მრევლს: თქვენ მორწმუნეობის ეტყობა აღარ აფერი გაქვთ, ეს არის მრევლი?..

მონაწილეებმა ხელმოწერები შეაგროვეს. წინასწარი ინფორმაციით, უკვე არსებობს 800-ზე მეტი ხელმოწერა.

პროტესტი მეორე დღესაც გაგრძელდა. ლოცვის პარალელურად მრევლი კვლავაც ტაძრის გარეთ შეიკრიბა.

არსებულ პროტესტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელშიც, მოსახლეობა მამა ნიკოლოზს სოლიდარობას ერთხმად უცხადებს.

ამირან კოლიაშვილი: „ვფიქრობ, რომ ტაძრების აშენება დიდი საქმეა, მაგრამ მამა ნიკოლოზმა თავის მრევლში, პირველ რიგში, საყოველთაო ქრისტიანული სიყვარული დაამკვიდრა. ალბათ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ღვაწლი, სწორედ ამიტომ გვიყვარს ის. ფაქტი ერთია და ვფიქრობ ამაში ყველა დამეთანხმება, მამა ნიკოლოზი და მრევლიც მეუფეს დიდი სიხარულით დახვდა. ეპარქიის შექმნა დიდ იმედებს გვაძლევდა ყველას, მაგრამ ძალიან მალე ყველამ შევამჩნიეთ დაძაბულობა ეკლესიაში. შენდობას ვითხოვ, მაგრამ ფიქრობ, ეკლესიიდან დაძაბულობა კი არა სიყვარული და ერთიანობა უნდა მიიღოს მრევლმა. დღევანდელი დღე ალბათ ყველაზე მძიმე მამა ნიკოლოზისთვის არის, მაგრამ დაძაბულობას ალბათ სიტუაციის განმუხტვა სჯობია. კიდევ ერთხელ მიხდა დავადასტურო, რომ მამა ნიკოლოზი ჩემთვის ნამდვილი ქრისტიანის განსახიერებაა, იქნებ მისი სამთაწყაროში წასვლა მართლაც კარგი იყოს სამთაწყაროელი მრევლისთვის, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მას (გაგრძელება გვ.8)



ორსაათიანი ნირვა სარიელ ტაძარში მიმდინარეობდა

ფოსტით შავიკლიათ საზღვარგარეთიდან საოჯახო ნივთის გამოიწეროთ!



მინი დოსიე: დიმიტრი პოპიაშვილი დაიბადა 1965 წლის 7 მაისს, 1982 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლა, რომლის შემდეგ სწავლას ჯაფარიძის პროფ-სასწავლებელში აგრძელებს, ორწლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ კი 1985 წელს ჩაირიცხა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ ამავე სასწავლებლის დაუსრულებელ განყოფილებაზე განაგრძო სწავლა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა სხვადასხვა სამსახურებში, 1995 წლიდან მუშაობდა დაცვის პოლიციის, ხოლო შემდეგ, 2004 წლიდან დედოფლისწყაროს საგზაო პოლიციის ინსპექტორად. 2004 წლიდან დიმიტრი პოპიაშვილი უმუშევარი რჩება. 2013 წლის 1 მარტიდან იგი საქართველოს ფოსტის სერვისცენტრის უფროსია.

უკვე ოთხი თვეა, ახალი უფროსი ჰყავს საქართველოს ფოსტის დედოფლისწყაროს სერვისცენტრსაც. იგი ჩვენი რაიონის მკვიდრი დიმიტრი პოპიაშვილია.

- ბატონო დიმიტრი, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არცკი არის ცნობილი, რომ ჩვენი ფოსტა, ძველებურად ფართო მომსახურებას მოიცავს, უფრო დანერგვით რომ გავაცნოთ მკითხველს, ძირითადად რა სახის სერვისმომსახურება გაქვთ და თუ დაემატა რაიმე ახალი საფოსტო მომსახურება თქვენს სერვისცენტრს.

- ძველებურად იგზავნება ამანათები საზღვარგარეთიდან, წერილები,

ბი, დეპეშები, ფაქსი, გვაქვს ციხის ამანათები, განახლდა საზღვარგარეთიდან ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო თუ საოჯახო ნივთების გამოწერა და ეს ყველაფერი საკმაოდ დროულად და მაღალ დონეზე სრულდება.

- რამდენადაც ვიცით, სადაზღვევო პოლისების დარიგებაც თქვენს მომსახურებაში შევიდა, ხომ არ გაიზარდა ამით თქვენი სამსახურის სამუშაო გრაფიკი ან დატვირთვა?

- გეთანხმებით, პოლისებს ახლა უკვე ჩვენ გადავცემთ მოსახლეობას და საკმაოდ გაგვეზარდა შრომაც, თუმცა, ჩვენ ამას ჩვეულებრივად შევხვდით, გარდა ამისა, პატრულის მიერ გამოწერილი

ჯარიმებიც ჩვენთან მოდის და ჩვენი კურიერების მეშვეობით ვარიგებთ. საკმაოდ საინტერესო და ამავე დროს საპასუხისმგებლო სამსახურია ფოსტა, ერთი პატარა უზუსტობაც არ გვეპატიება. თუ კურიერს სადაზღვევო პოლისის ადრესატი ბინაზე არ დახვდა, კურიერი ცოცხალს შეტყობინებას და აქვე მინდა მოსახლეობის საყურადღებოდ განვაცხადო, რომ მოქალაქე შეტყობინებისთანავე, დროულად უნდა გამოცხადდეს ჩვენს სერვისცენტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლისი უკან ბრუნდება და მეორე მისი მოძიების პროცესი სერიოზულად რთულდება.

- საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ თქვენი ახალი მოტოციკლიანი კურიერები, მათი მომსახურება მოსახლეობაში დადებით ემოციებს იწვევს.

- კი, ოთხი ასეთი კურიერი გვყავს, ერთი რაიონში მობრუნდა, მეორე ზემო მაჩხაანის, მესამე ქედების ზონაში და მეოთხე სამთაწყარო საბათლოს - ზონაში დადის.

- მოსახლეობისგან გამიგია, რომ წერილები, რომლებიც ადრე კაპიკები ღირდა, ახლა საკმაოდ გაძვირდა და 5 ლარზე ნაკლები არ უჯდებათ ერთი წერილის გაგზავნა. ამანათის გაგზავნა ხომ უფრო ძვირი იქნება, თუ არის ხოლმე განსაკუთრებული შემთხვევები გამოწერის ან ამანათის გაგზავნის დროს?

- გეთანხმებით, გაძვირდა, მაგრამ იმდენად მოსახერხებელი და იაფი უჯდება მოქალაქეს წერილი თუ ამანათი, რომ სიძვირის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი სარგებლობს ჩვენი მომსახურებით მაგალითად, დღეს აქაურმა ადამიანმა ზუგდიდში გაუგზავნა ახლობელს მობილური ტელეფონის აპარატი და ეს მომსახურება სულ რაღაც ათი ლარი დაუჯდა, ათი ლარი იმისთვის, რომ ახლობელს ტელეფონი გაუგზავნო, ვფიქრობ, არაა მიუღებელი თანხა. ამას წინათ, ერთმა ქალბატონმა გერმანიიდან ლეიბები და სხვა ნივთები გამოიწერა და ფოსტის მეშვეობით მიიღო, ამაზე კარგი რა არის, როცა ადამიანი ასე იმარტივებს ცხოვრებას. ძალიან ხშირია, როცა მამაკაცები საზღვარგარეთიდან მანქანის ნაწილებს ან საბურავებს იწერენ, რაც ასევე ძალიან კომფორტულია.

- რა პროცენტული მაჩვენებლით ასრულებთ გეგმას და სამომავლოდ რა სახლეს უნდა ველოდეთ თქვენი სამსახურისგან?

- ჩვენი მომსახურება ფასდება იმის მიხედვით, თუ როგორი გვაქვს ჩაბარების მაჩვენებელი, ჩაბარების მაჩვენებელი კი 95%-ზე მეტია, რაც, ვფიქრობ, არ არის ცუდი ნიშანი. რაც შეეხება, სამომავლო გეგმებს, ჩვენი სამომავლო გეგმა ბონუსურ სისტემაზე გადაყვანაა, რაზეც ამ ეტაპზე ექსპერიმენტებს უკვე ატარებენ და უახლოეს მომავალში არსებობს პერსპექტივა, რომ ბონუსურ სისტემაზე მართლაც გადავიდეთ.

ლალი მხრინიშვილი

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. სწორედ სიტყვის თავისუფლების ხარისხია თავისუფალი საზოგადოების მთავარი საზომი.



სიტყვის თავისუფლება - ეს არის თავისუფალი მედია, თავისუფალი ჟურნალისტი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა, თუმცა თავისუფლება არ შეიძლება

ცოტა რამ ჟურნალისტური ეთიკის შესახებ

იყოს აბსოლუტური და ის მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა უფლება.

მედიის თავისუფლებას, ნებისმიერი ინფორმაციისა და მოსაზრების შეუზღუდავად გავრცელებასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ხშირად დამახინჯებულად, არაეთიკურად იყენებენ, არაა, კეთილსინდისიერება და სანდოობა ყველაზე მთავარი მონაპოვარი უნდა იყოს ნებისმიერი მედია საშუალებისთვის. „ახალგაზრდა“ დემოკრატიებში ჟურნალისტები უფრო მეტად სენსაციებისა და სკანდალების მოპოვებით არიან დაკავებულნი. კონკურენცია კი „დასწრების“, „მოსწრების“ ფონზე მიმდინარეობს. სავსებით ბუნე-

საგანი ამგვარი ინფორმაცია ბევრად იოლად ხდება, თუმცა ასევე ძვირად უნდა ფასოდეს პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. სინდისის თავისუფლებას ხომ სწორედ სამართლიანობა განაპირობებს და არა ჭორების გავრცელების დაუღალავი სურვილი.

პროფესიონალიზმს თუ შევხებით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ჟურნალის-

ბრივია, რომ საზოგადოების უმრავლესობის ინტერესის ტების არასაკმარის განათლებას. საქართველოში ძალიან ცოტა ჟურნალისტს თუ ესმის პირადი ცხოვრების ხელშეხე-

უნოდებენ დამნაშავეებს. ერთი შეხედვით, რიგითი მოქალაქისთვის ეს შესაძლოა მხოლოდ ფორმლობაა, თუმცა ჟურნალისტს ერთმნიშ-

ეთიკური და ზნეობრივი წესრიგი ნებისმიერ პროფესიაში საჭიროა. ეთიკური წესრიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჟურნალისტებისთვის. საზოგადოებაში მედიას მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ, თუმცა, თუ იერარქიაზე მიდგება საქმე, მედია სწორედ რომ პირველი ხელისუფლებაა. ჟურნალისტი სახელმწიფოში ყველაზე მეტად ასოცირდება ხალხთან, ინდივიდთან, ვინაიდან დემოკრატია თავისი პირველყოფილი და თანამედროვე მნიშვნელოვანი ხალხის მიერ მმართველობას ნიშნავს. ასეთი თავისუფლება დიდი პასუხისმგებლობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გარეშე ანარქიაა და მეტი არაფერი, ამიტომ, ჟურნალისტებმა საკუთარ თავზე უნდა ვიკისროთ პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერების ტვირთი, უარი ვთქვათ მავნე ტრადიციებზე და ავიმალლოთ სამოქალაქო ცნობიერება, ვისწავლოთ სოლიდარობა და შეწყნარება, მეტად შევიყვართ და დავაფასოთ საკუთარი საქმე და საზოგადოება, რომელსაც ვემსახურებით, მათ შორის ადამიანები, რომლებსაც ვაკრიტიკებთ.

ელზა ხარაშვილი

ბლობის, ადამიანის ღირსების პატივისცემისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობა. ჩვენს ქვეყანაში უკვე ათწლეულებია დაკავებულ პირებს, „უწყინარად“

ვ ედება მას ბრალი. ჟურნალისტების საქმიანობაში ხელისუფლების ან ნებისმიერი სხვა მხარის ჩარევა გაუმართლებელი და ავტორიტარული ნაბიჯია, თუმცა

კუნბ-ფუსანდა

9 ივნისს ჩატარდა კავკასიის თასის გათამაშება CHI ფედერაციის ორგანიზებით. ტურნირში მონაწილეობას იღებდა ზემო მაჩხაანის სპორტული



კლუბი „ზაქებმა“. MMA-ს ა და K-1-ის წესებით 6 სპორტსმენი ასპარეზობდა. ტურნირში მათ ექვსი საპრიზო ადგილი- 5 პირველი და ერთი მეორე ადგილი დაიკავეს. 1 ადგილის მფლობელები გახდნენ: გიორგი, გიგა, სანდრო ნატროშვილები, გელა ჩაფიძე და ბორის კუსრაშვილი, ხოლო მეორე ადგილი გიორგი კანდელაკიშვილმა დაიკავა. მან და გელა ჩაფიძემ ასევე იასპარეზეს K-1 წესებით და პირველი ადგილების მფლობელებიც გახდნენ.

3 ივლისს ქ. თბილისში გაიმართა აზიის თასის ლია პირველობა, სადაც მონაწილეობდნენ ზემო მაჩხაანელი სპორტსმენები. ტურნირში მონაწილეობას ლეზობოდა ექვსი ქვეყანა. კლუბმა „ზაქებმა“ 9 სპორტსმენით იასპარეზა და საპრიზო ადგილებიც მოიპოვა. MMA-ს წესებით ბრძოლაში ჩემპიონები გახდნენ: სანდრო ნატროშვილი, ძმები ნიკა და ლაშა ქევიციანი, მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ: ვახტანგ გოგოლაძე, გელა ჩაფიძე, გიორგი კანდელაკიშვილი, გიგა ნატროშვი-

ლი, მესამე ადგილები წილად ხვდათ: ბორის კუსრაშვილსა და გიგა ნანობაშვილს. გუნდს წვრთნის გენადი ნატროშვილი.

ლი, მესამე ადგილები წილად ხვდათ: ბორის კუსრაშვილსა და გიგა ნანობაშვილს. გუნდს წვრთნის გენადი ნატროშვილი.



ლი, მესამე ადგილები წილად ხვდათ: ბორის კუსრაშვილსა და გიგა ნანობაშვილს. გუნდს წვრთნის გენადი ნატროშვილი.

სისოხელეში ლეგენდად ქსეული

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მნიგნობართა რაიონული ორგანიზაციის საბჭოს საპატიო თავჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით და მისი მოადგილის- არაერთი საინტერესო პროექტის ავტორის, ნანა ჭიჭინაძის ინიციატივითა და ძალიან მეგობრული მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქსეული, ნამდვილი შთაგონების წყაროს, გულწრფელი თავმდაბლობით გამორჩეული ორი დიდი ხელოვანის- სოფიკო ჭიაურელის ფოტო-ალბომის და თამარ ლიჩელის წიგნის "თენგიზ ამირეჯიბი" პრეზენტაცია.

პროექტის მხარდამჭერები გახლდათ: ირაკლი შიოლაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი; მანანა დოიჯაშვილი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოადგილე, პროფესორი გიორგი კალანდია, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა ნანა ჭიჭინა-

ძემ:- განუზომელია უდიდესი ქართველი პიანისტის, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, საქართველოს სახალხო არტისტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის გამგის, პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის დვანლი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. ამაზე მეტყველებს როგორც მისი უზადო სამსრულე ბლოგნეზა, ისე მის მიერ აღზრდილი ქართველ პიანისტთა შესანიშნავი თაობები, პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსე-

ფესტივალი სიმბოლურად მათი მემორიალიზაციაა. პირველი მანანა დოიჯაშვილმა, ალექსანდრე კორსანტიამ, თამარ ლიჩელმა, მარინა ნადირაძემ, ირმა გიგანმა და მზია ჯაჯანიძემ გახსნეს, 15 და 16 მაისს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სრული ანშლანგი იყო.

თენგიზ ამირეჯიბის ბიოგრაფიასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრებს ბრემ უზუმის დირექტორმა ალი გურას-

მა და სპეციალისტებმა: ნინო პოპიაშვილმა, ლალი ბალაშვილმა, ნუნუ ქართველიშვილმა, ლია ბაიდომ-

ვილმა, თამარ ხარაშვილმა, თამილა ჯაჯაშვილმა. წიგნის პრეზენტაციას ფონად გასდევდა თენგიზ ამირეჯიბის მოსწავლეების: მანანა დოიჯაშვილის და ირმა გიგანის მიერ შესრულებული რ.შუმანის, ფ.ლისტის, კ. დეპიუსის და ფ. შოპენის ნაწარმოებები. დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ავღანეთში ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ჯარისკაცების სსოვნას. მნიგნობართა რაიონული ორგანიზაციის მდივანმა ლია ჩოქურმა ისაუბრა სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებით მოღვაწეობაზე და წარუდგინა იქ მოზრდნებულ საზოგადოებას ფოტო-ალბომი, ნაჩვენები იქნა კომპაქტ-დისკი „სოფიკო“. პრეზენტაციას მნიგნობართა ასოციაციის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ სოფიკოსა და გიგოს ნიჭის თაყვანისმცემლები. სპეციალური მონვევით მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელობა, ასევე კულტურის, განათლებისა და მედიცინის მუშაკთა წარჩინებული კოპორტა.



ფესტივალი სიმბოლურად მათი მემორიალიზაციაა. პირველი მანანა დოიჯაშვილმა, ალექსანდრე კორსანტიამ, თამარ ლიჩელმა, მარინა ნადირაძემ, ირმა გიგანმა და მზია ჯაჯანიძემ გახსნეს, 15 და 16 მაისს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სრული ანშლანგი იყო.



ბადრი (ნიკოლოზ) ჯიბლაშვილი

დაიბადა 1974 წლის 6 იანვარს, არამქვეყნიური ენერჯია და ხალისი ჰქონდა, უყვარდა ყველა და ყველაფერი. საკმაოდ მკაცრი შეხედულების ადამიანს საოცრად დიდი სიბოძო და სიყვარული დაჰქონდა. როცა ბადრი მოდიოდა თითქოს დიდი ხმაური მოგორავსო, მოდიოდა და მოჰქონდა ხმაური და ხალისი. 33 წლის იყო, უზომოდ და უკიდევანოდ შეყვარებული. შეხვდა პეპელასავით გოგოს, რომელთანაც აპირებდა ოჯახის შექმნას. ვეღარ მოასწრო...

ამბობენ ადამიანს იმქვეყნად მხოლოდ სიყვარული მიაქვსო. წაიღო სიყვარული, დაგვიტოვა ტკივილი და მონატრება. ირლანდიის ქალაქ კორკ ში, 2007 წლის 8 ივლისს მოტოციკლის ავარიას შეეწი-

ბადრი კაჭო. კაკა ჯიბლაშვილი

ბულდოზერებმა ინკების უკველესი პირამიდა მიწასთან გაასწორეს

პერუში მორიგი ვანდალური აქტი მოხდა - კერძო სამშენებლო კომპანიის ბულდოზერებმა ინკების უძველესი პირამიდა მინასთან გაასწორეს. ქალაქ სან მარტინ დე პორესის მახლობლად მდებარე ექვსი მეტრის სიმაღლის პირამიდა 5000 წლის იყო და ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ძველ კულტურულ ძეგლად ითვლებოდა. ქალაქის მერი ფრედი ტერნერო აცხადებს, რომ კომპანიამ უკანონოდ დაანადგურა ლირსშესანიშნაობა, რადგან კულტურის სამინისტროსგან ნებართვა არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ იგივე კომპანია სამი სხვა პირამიდის დანგრევასაც ცდილობდა, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხელი შეუშალეს.

დედა მარინა, მამა ნიკოლოზ ბეგიაშვილები, მეუღლე კობა, შვილები ანა, ნიკოლოზ პოპიაშვილები. დები ხათუნა და ქეთი ბეგიაშვილები, სიძეები ილია პაპალაშვილი, ნიკა ქოქოაშვილი, დისშვილები იზა, ნინო, თაზო და ლიზი, დეიდა ლია, ბიძა ვაჟა, დეიდაშვილები ხატია და ნათია ბატიაშვილები, მამიდაშვილი ნინო რამიშვილი, სიძე ზურა დარგუაშვილი ოჯახებით იუნყებიან დარეჯან ბებიაშვილი-პოპიაშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა 4 ივლისს სოფ. არბოშიკში.

8 მრევლის პრობლემა - ღოჭვა სარჩელ ტაძარში

(მესამე გვერდიდან)
დედოფლისწარშიც ემოლანა და სამთაწარშიც ჩაეტარებინა ნირვები? უფრო მეტი მრევლის აზრს და უმორჩილესად ვიზოვ მეუფე მეღვინეებს, დატოვოს მამა ნიკოლოზი დედოფლისწარის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ნინამღვრად.
პსხტანბ კიკილაშვილი: „3 ივლისს ხორრნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის კრებაზე გაცხადებული გადაწყვეტილება მამა ნიკოლოზის სამთაწარში გადაყვანასთან დაკავშირებული არ მგონია სწორი ნაბიჯი იყოს. ეპარქიის აღდგენამდე მამა ნიკოლოზის უმშუალო ღვანლით აშენდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (ამჟამად საკათედრო ტაძარი), ალსდგა და აშენდა ელია თესბიტელის სახელობის და სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრები. დაიგეგმა სხვა ტაძრების აღდგენის გეგმები, მოძიებული იქნა ყველასთვის დაეინყებული ნატადრალეხი და

ნაკურთხი) მედავითნენი, მგალობლეხი. გაიზარდა მრეველი და ხალხმა დაინყო ეკლესიური ცხოვრება. ეს (და კიდევ სხვა) დაინყო 1999 წელს მამა ნიკოლოზის დედოფლისწარში ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლში მღვდლად დადგენის დღიდან. 10 წელიწადში 2009 წელს ეპარქიის შექმნამდე, ყველაფერი დიდი ღვანლის შედეგია. არ არის იოლი ადამიანს შთაუწერო უფლის სიყვარული და შიში, მიიღოს გადაწყვეტილება მოძღვარს ჩაბაროს პირველი ალსარება და ეზიაროს. საქმის გაკეთებას აუცილებლად ესაჭიროება მრეველის სიმრავლე და თანადგომა. 2009 წლიდან კი თითქოს ყველაფერი დამთავრდა, გაიყინა და მრეველც დაბრკოლდა. პატიებას ვითხოვ უფლისაგან და ყველასგან, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ეპარქიის შექმნას პირიქით უნდა შემოეცანა ახალი ძლიერი მუხტი. რატომ

სი იქნებოდა, თუ მას მიეცემოდა უფლება სამთაწარში განეხორციელებინა ზედამხედველობა (არ ვიცი ეს როგორ შეიძლება, მაგრამ ფორმების მოძებნა შესაძლებელია). ამ შემთხვევაში მას ყველა მხარში დაუდგებოდა და შედეგიც იქნებოდა. ახლა კი ხალხი დაბრკოლდა და მიიჩნევს, რომ ხდება მათი მოძღვრის შევიწროვება, ვფიქრობ, ნინ არ მივედივართ. ვერ ვიტან პოლიტიკურ ხრიკებს. ასე ამენებული მდგრადა ვერ იქნება. დროა, დავიწყოთ შენება, დავიწყოთ უკვე შექმნილის ნგრევა. მოგინდით ბოდიშს, ეს ჩემი და ჩემი მეგობრების აზრია.“



ნა, რომ თვითეული ჩვენთანგანი უფლის ხატად ვართ ნამობნი და არ გვექნა უფლება, ცუდის ჩადენის, გულში ავი ძრახვის გაველების, ბოროტებისკენ მოქცევის. მამა ნიკოლოზის ნათქვამისა არ იყოს, მოვუწოდებ მრეველს, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, რადგან უფალი თავად გადაწყვეტს დადებითად ამ საკითხს და არ დაგვეტოვებს ობლად, სულიერი საზრდოს მომწოდებლის გარეშე.“
თამარ არაბული: „კარგად მახსოვს, რა ვითარება იყო რაიონში მამა ნიკოლოზის ჩამოსვლამდე?! ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ! მანამდე დედოფლისწარო ბაპატისტების და ემპოველების ბუდე იყო! კარგი მამაო ყველგან უნდა იყოს, სამთაწარშიც და დედოფლისწარშიც. ერთი კეთდებოდა და მეორე ზიანდებოდა, ეს თუ თქვენთვის მისაღებია, ბევრისთვის და მათ შორის ჩემთვის ასე საქმის კეთება, მისაღები ნამდვილად არ გახლავთ! ჩვენი უბედურება ისაა, რომ მამა ნიკოლოზის მსგავსი მოძღვარი ბევრი არ გვყავს. ეკლესიისკენ მობრუნებული მრეველი არ უნდა გაანბილონ. ვფიქრობ, მამა ნიკოლოზის სხვაგან გადაყვანა არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

მას დედოფლისწაროდანაც შეედლო სამთაწარში საქმის კეთება. დიდი ეჭვი მაქვს, რომ აქ რაღაც სხვა ამბავია.“

ლია კვამჩია: „ემოციებს ვერ ვფარავ, მართლაც, მამა ნიკოლოზს დედოფლისწაროელი მრეველი არ და ვერ დათმობს. თუ ვინმეს სურდო აქვს, რომ ამ ფაქტით რაიონში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს და ამას შეგნებულად აკეთებს (ნინასაარჩევნოდ ვილაცის ნისქვილე ნყლის დასასხმელად) ხმამაღლა ვაცხადებ: არ გამოუვათ! მამა ნიკოლოზის ავტორიტეტის, მისი უდიდესი ერუდიციისა და იშვიათი ადამიანობის გამოყენება თუ უნდათ სამთაწარში სიტუაციის დასარეგულირებლად, ამას ჩვენი საყვარელი მოძღვარი თავისი ენერგიულობისა და მრეველის მხარდაჭერის ნყალობით, ისედაც შეძლებს; ასე რომ, არავინ გაბედოს მისი მრეველისთვის მოცილება! მთელი რაიონი დდგება ფეხზე და მამა ნიკოლოზის დაჩაგრვას და მისი ღვანლის დაუფასებლობას არავის აპატიებს! იმედია, მისი უწმინდესობა გაგებით მოვეკიდება ჩვენს თხოვნას, შეგვინდობს და დატოვებს ტაძარში.“

ილია მარტყოფლიშვილი



ნიკოლოზ ღოჭვაშვილი: - გულში არაფერი ჩაილოთ, დაგვიღვით, ყველაფერი კარგად იქნება.

წმინდა ადგილები. არც ალაზნისპირა ტერიტორიები ყოფილა დაეინყებული. მრეველთან ერთად იგეგმებოდა მომავალი ტაძრების მშენებლობის საშუალებები და ადგილები. სოფელ ფროსმანში (სამთაწარისთან) იკურთხა ადგილი და მომზადდა ტაძრის პროექტი. გამოჩნდნენ ახალი სტიქაროსნები, (რომლებიდანაც ბევრი შემდეგ მღვდლად იქნა

ხდება პირიქით? კიდევ ერთხელ ვითხოვ შენდობას, მაგრამ არ სებობს კითხვა ხომ არ სწყინს ვინმეს მამა ნიკოლოზის დიდი ავტორიტეტი? თუ მისი სამთაწარში გადაყვანა მისი ავტორიტეტისა და უნარის გამო მოხდა, როგორც რთულ რეგიონში მდგომარეობის გამოსასწორებლად, არ მგონია სწორი ნაბიჯი იყოს. ვთვლი, რომ გაცილებით უკეთე-

ულოცავებ!

ასეთი ყოჩიაშვილს

ქალბატონო ასმათ, გილოცავთ დბადების დღეს, იყავით მუდამ გახარებულნი და ბედნიერი თქვენს დიდ ოჯახთან ერთად. ცხოვრება საკმაოდ რთულია და უამრავ ნინალმდგომარეობებს გვახვედრებს ადამიანებს, თუმცა, ადამიანთა დდბუნებობენა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ამ პრობლემას ღირსეულად გაუშვალავდეთ და დაუდგეთ იმ სიმალეზე, რაც მის პიროვნებას შეუფერის. ჩვენ, მედიკოსებს, ყველა სხვა საუკეთესო თვისებასთან ერთად, უფალმა კიდევ უფრო მძიმე ჯვარი გვარგუნა - გვაავლებს დავიცვათ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მივხედოთ მას უანგაროდ და ურთიერთობაში მოვეცეთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა რომ მოგვეცენ ადამიანები. ვფიქრობთ, რომ თქვენ ამ მისიას ღირსეულად ართმევთ თავს და მომავალშიც ასე განაგრობთ. კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს.

სოფელ ზამო მარჯანის სამაფიქონო ცხენის დიუბანი და თანაგვარობანი

რუსუდან გონაშვილს!

გილოცავთ კონკურსში გამარჯვებას, გვამაყვება, რომ ჩვენი სკოლის პედაგოგმა ასეთ წარმატებას მიაღწია. კვლავაც პროფესიულ ნინსვლას და ასეთსავე შემართებას გისურვებთ.

სოფელ ხორცააშვის საჯარო სკოლის ავტოლომბიტი.

იხილება!
ორსართულიანი, კეთილმონყოლი (ცენტრალურ კანალიზაციაში ჩართული) საცხოვრებელი სახლი ქალაქ დედოფლისწაროს ცენტრში. მისამართი: 9 ძმის ქუცა №6 ფასი 35 000 \$. მსურველები დაგვიკავშირდით: 598 47 56 21

ყურადღება: ქირავდება!
ქირავდება საოფისე ფართი „პრივატბანკის“ II სართულზე. ოთახები განლაგებულია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და მათი დაქირავება შესაძლებელია ცალცალკე. შენობა დაცულია და აყვანილია დაცვის პოლიციის სიგნალიზაციაზე. მსურველებმა მოგმართეთ ტელეფონზე: 591 11 02 30, ან დაგვიკავშირდით მისამართზე: ქ დედოფლისწარო, ალაზნის ქ. №5.

სასწრაფოდ იხილება!

ქალაქ დედოფლისწაროში, ოთხსართულიანი კორპუსის მეოთხე სართულზე (ჭერი გაკეთებულია) იყიდება ორი პრივატიზებული, გარემონტებული ბინა: ოთახნახევრიანი და ორთახნახევრიანი, ერთმანეთის გვერდით. გაყიდვა შესაძლებელია როგორც ერთად, ასევე ცალცალკე, ავეჯით ან უავეჯოდ, ავტოფარეხებით. ბინა უზრუნველყოფილია გათბობით (ბუნებრივი აირი შეყვანილია), ცხელი წყლით, ინტერნეტით.

მსურველები დაგვიკავშირდით: 599 719 888, 571 719 888, 0 356 22 53 33, 0 356 22 31 60.

ამინდი

ორშაბათი 08.07 დღე 25°	სამშაბათი 09.07 ღამე 23°	ორშაბათი 10.07 დღე 24°	სამშაბათი 11.07 ღამე 23°	პარასკევი 12.07 დღე 22°	შაბათი 13.07 ღამე 21°	კვირა 14.07 დღე 24°	ღამე 22°
------------------------------	--------------------------------	------------------------------	--------------------------------	-------------------------------	-----------------------------	---------------------------	-------------

გამომცემელი შპს „შირაბი“ დირექტორი ინბა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილობითი მუყანელი ფაქტებსა და ციფრებსე პასუხს აგებს ავტორო.

სარედაქციო კოლეგია: **ლალი მხერიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი** (ყურნალისტები) ; **ქლა სარაშვილი** (სტილისტ-მწევერი) ; **ნათა გოციაშვილი** (ბუღალტერი) ; **ნინა ჰანაშვილი** (ოფის-მწევერი) ; **მზინა ქინძიბი** (დისტრიბუტორი) ; **ზურაბ გუნაშვილი** (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაბის“ კომპიუტერულ პაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.